სამახსოვრო საარჩევნო ყუთის, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრისთვის

(განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება)

- მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ ამომრჩეველს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მხოლოდ ერთი საარჩევნო ბიულეტენი აქვს, ამომრჩეველს განუმარტეთ საარჩევნო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონულ აპარატში მოთავსების წესი.

ყურადღება!

ფარულობის უზრუნველსაყოფად სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენი ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მეშვეობით ძირითად საარჩევნო ყუთში ისე უნდა მოთავსდეს, რომ შევსებული საარჩევნო ბიულეტენის წინა მხარე მოექცეს ქვემოდან.

- თუ ამომრჩეველი ვერ ახერხებს სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსებას, დაეხმარეთ მას.

ყურადღება!

- ✔ საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.
- ✔ დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს, დააკვირდეს ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში სპეციალური ჩარჩო-კონვერტების საშუალებით საარჩევნო ბიულეტენის მოთავსებას.
- ✔ თუ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი უკან დააბრუნებს საარჩევნო ბიულეტენს, შესაძლებელია მისი ხელმეორედ მოთავსება ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში. საარჩევნო ბიულეტენის კვლავ დაბრუნების შემთხვევაში, იგი ჩაითვლება გაფუჭებულად. გაფუჭებულ

საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, გადაიკეცება და შეიკვრება ლითონის შემკერით („სტეპლერით") იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის დანახვა, დაეწერება „გაფუჭებულია", ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება. კომისიის თავმჯდომარის დავალებით რეგისტრატორი ვალდებულია შეუცვალოს ამომრჩეველს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი ახალი საარჩევნო ბიულეტენით.

- მას შემდეგ, რაც საარჩევნო ბიულეტენი ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის საშუალებით აღმოჩნდება ძირითად საარჩევნო ყუთში, მიუთითეთ ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანი.
- თვალყური ადევნეთ ამომრჩევლის მიერ სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საამისოდ განკუთვნილ მაგიდაზე მოთავსებას.
- უზრუნველყავით უკვე გამოყენებული სპეციალური ჩარჩო-კონვერტების გადაცემა ამომრჩეველთა რეგისტრატორებისათვის.